ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების 2023 წლის პროგრამის ფარგლებში 9 (ცხრა) თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის თაობაზე.

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსება განისაზღვრა - 1 347 500 (ერთიმილიონ სამასორმოცდაშვიდიათას ხუთასი) ლარით.

ცხრა თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 1915 ბენეფიციარმა , გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა--746 165 (შვიდასორმოცდაექვსიათას ას სამოცდახუთი) ლარი.

აქედან:

1. სამედიცინო კვლევებისა და სტაციონალური მომსახურების დახმარების თანადაფინანსებით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა--890 ადამიანმა, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 289 338 (ორასოთხმოცდაცხრაათას სამასოცდათვრამეტი) ლარი.
2. ონკოლოგიური დაავადების მქონე 15 პაციენტმა ისარგებლა მედიკამენტების თანადაფინანსებით, თანხის ოდენობამ შეადგინა - 4457 (ოთხიათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი;
3. ჰემო-დიალიზზე და პერიტონეალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის დახმარების ფარგლებში გაწეული დახმარების ოდენობამ (ტრანსპორტირების თანხის უზრუნველსაყოფად) შეადგინა -54 400(ორმოცდათოთხმეტიათას ოთხასი) ლარი და საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 35 - ბენეფიციარმა.
4. გაუსაძლის პირობებში მცხოვრები ან სტიქიის შედეგად და უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის (ბინის ქირა) დახმარების ფარგლებში, გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა -38 250 (ოცდათვრამეტიათას ორას ორმოცდაათი) ლარი, საანგარიშო პერიოდში ისარგებლა - 35 ადამიანმა.
5. ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა და მარტოხელა მშობელზე, რომელსაცჰყავს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის) შვილი - დახმარებით ისარგებლა - 49- ოჯახმა და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 5 310(ხუთიათას სამას ათი) ლარი, (15 (თხუთმეტი) ლარი ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსება)..

6. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების დახმარებით ისარგებლა - 83 -მა ოჯახმა და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა -9825 (ცხრაათას რვაას ოცდახუთი) ლარი, (15 ლარი ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსება)..
7. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარებით ისარგებლა - 25 -მა ოჯახმა და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა -3015 (სამიათას თხუთმეტი) ლარი, (15 ლარი ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინანსება).
8. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვ(ებ)ის (18 წლამდეასაკის) ოჯახს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით დახმარება გეწია - 14 ოჯახს . დახმარების ოდენობამ შეადგინა - 7 000 (შვიდიათასი) ლარი.
9. ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტსტუსის მქონე ერთ პირს (მშობელს) , რომლის ორი მცირეწლოვანი შვილიც ძალადობის მსხვერპლია გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება - ჯამში - 1500(ერთიათას ხუთასი) ლარი.
10. მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი, აღნიშნული დახმარებით ისარგებლა - 119-მა ოჯახმა (100 ლარი თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი დახმარების სახით მთელი წლის განმავლობაში) და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 50 300 (ორმოცდაათიათას სამასი) ლარი .

11. ახლადაბადებულ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება პირველ და მეორე ბავშვზე, აღნიშნული დახმარებით ისარგებლა - 192 ოჯახმა და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 27 800 (ოცდაშვიდიათას რვაასი) ლარი.
12. 227 - ახალშობილს, გადაეცა ,,ახალშობილის კალათი".
13. ტყუპი ბავშვის (ორი და მეტი) ახალშობილის შეძენის კატეგორიის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა სამმა ოჯახმა და გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა - 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.
14. დევნილთა დახმარებისათვის პროგრამის ფარგლებში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით - 61 ოჯახს ჩაერიცხათ - 9 150 (ცხრაათას ასორმოცდაათი) ლარი.

15. სამშობლოს დასაცავად მებრძოლთა ოჯახებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების ინტერესთა დაცვის ფარგლებში დახმარება გაეწია -ერთ ვეტერან ქალბატონს (8 მარტს) -250(ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
   - აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით -15 ვეტერან ოჯახს პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად დაერიცხათ თანხა - 250 (ორასორმოცდაათი) ლარი. ჯამში - 3 750 (სამიათას შვიდასორმოცდაათი) ლარი.
   - მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და უცხოქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლთა, გარდაცვალების შემთხვევაში,

სარიტუალო ხარჯით დაკმაყოფილდა - 3 ოჯახი, დახმარების ოდენობამ შეადგინა - 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარი.

8 აგვისტოს სამშობლოს დაცვისას დაღუპულ მეომარის ოჯახს ერთჯერადად

დაერიცხათ 500 (ხუთასი) ლარი.

16. მარტოხელა სოციალურად დაუცველი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ფარგლებში დახმარებით ისარგებლა - 9 ოჯახმა დახმარების ოდენობამ შეადგინა - 4 500 (ოთხიათას ხუთასი) ლარი.
17. ა.ა.ი.პ ,,შეზღუდული შესაძლებლობებისა და მზრუნველობა მოკლებულთა ორგანიზაცია ,,მადლი"-ს საქმიანობისათვის , 6 -18 წლამდე და 18 წლიდან ზევით, შეზღუდული შესაძლებლობისა მქონე 30 ბენეფიციარისთვის საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად დახარჯულია -15 750 (თხუთმეტიათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი.
18. სოფელ კავშირში მდებარე ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის ბენეფიციართა ტრანსპორტირებისათვის საანგარიშო პერიოდში დახარჯულია - 550(ხუთასორმოცდაათი) ლარი.
19. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით საანგარიშო პერიოდში დახარჯულია - 121 166 (ასოცდაერთიათას ას სამოცდაექვსი) ლარი.
20. უფასო კვების ობიექტის დაფინანსების კუთხით, რომელიც ემსახურება მიუსაფართა და მზრუნველობა მოკლებულთა კვებით მომსახურებას 134 ბენეფიციარზე, საანგარიშო პერიოდში დახარჯულია - 74 574 (სამოცდათოთხმეტიათას ხუთას სამოცდათოთხმეტი) ლარი.
21. უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა (ლაგოდეხის წითელი ჯვარის ფილიალის თანადაფინანსება) - საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 54 435 (ორმოცდათოთხმეტიათას ოთხას ოცდათხუთმეტი) ლარი. (დღის ცენტრი -58 ბენეფიციარი, შინ მოვლა-24 ბენეფიციარი)
22. დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარებამ -თითოეულ ბავშვზე-100 (ასი) ლარი ყოველთვიურად 4 ოჯახზე შეადგინა 7 200 (შვიდიათას ორასი) ლარი.
23. მაღალი აკადემიური მოსწრების 40 სტუდენტმა მიიღო ერთჯერადი ფულადი წახალისება -1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით, მთლიანმა თანხამ შეადგინა 40 000(ორმოციათასი) ლარი.

- *ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ -*
- მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე განხორციელდა მონიტორინგი
- მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა საჭიროებების მქონე

- სოციალურად დაუცველ ოჯახებთან რომლის შედეგადაც გამოიკვეთა
- სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახები, სადაც ბავშვთა ინტერესების
- გათავალისწინებით, საჭირო გახდა რეაგირების განხორციელება.
- თითოეულ საქმეზე, ინდივიდუალურად ინტერდისციპლინარული
- ჯგუფის ჩართულობით შემუშავებული იქნა სამართლებრივი
- დოკუმენტები, სკრინინგის ფორმა, ბავშვის /ბავშვების ოჯახის
- შეფასების ფორმა, ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა და
- დასკვნა.
- აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრა ინდივიდუალური
  საჭიროებები და ოჯახებს გაეწიათ სათანადო დახმარება.
- - კერძოდ:
- - სამ ოჯახზე გაძლიერების მიზნით, შემუშავებული იქნა
- ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა, მათი საცხოვრებელი პირობების
- გაუმჯობესება - კეთილმოწყობისათვის.
- - ოთხ ოჯახს გაეწია სამართლებრივი კონსულტაცია და საჭიროებების
- გათვალისწინების შედეგად ოჯახები ჩაერთნენ ლაგოდეხის
- მუნიციპალიტეტის ,, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური
- დაცვის“ სხვადასხვა ქვეპროგრამებში.
- - სოფელ ფონაში მცხოვრებ მარტოხელა დედას, რომელსაც ჰყავს ორი
- მცირეწლოვანი შვილი, ჰქონდათ ელექტრო ენერგიის მიწოდების
- პრობლება. განყოფილებამ ფონის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის
- წარმომადგენელთან ერთად ადგილზე მოახდინა არსებული პრობლემის
- შესწავლა და შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით მოახდინა
- ელექტრო ენერგიის აღდგენა.
- - ცოდნისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის
- წარმომადგენელიდან შემოვიდა შეტყობინება სოფელ დავითიანში
- მცხოვრებ ორ მცირეწლოვან ბავშვიან ოჯახში არსებული პრობლემის
- შესახებ, განყოფილების მიერ მოხდა სიტუაციის ადგილზე შესწავლა,
-
- გაეწია (სასურსათო კალათით) დახმარება, ხოლო ოჯახში არსებული
- პრობლემის მოგვარების მიზნით გადამისამართდა სსიპ სახელმწიფო
- ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
- დახმარების სააგენტოში მხარდაჭერის აღმოსაჩენად.
- - ორმა სოციალურად დაუცველმა მრავალშვილიანმა ოჯახმა მოგვმართა
- პირადი განცხადებით საცხოვრებელი პირობების შესწავლისა და
- გაუმჯობესებისათვის. ბავშვთა განყოფილების მიერ მოხდა ადგილზე
- გასვლა და მიმდინარეობს საჭიროებების შესწავლა.
- - განყოფილების მიერ 6 ადმინისტრაციულ ერთეულში გამოიკითხა 59
- ოჯახი სადაც სამიზნე ჯგუფად შერჩეული იქნა მრავალშვილიანი,

- მარტოხელა, მარჩენალდაკარგული, შეზღუდული შესაძლებლობის
- მქონე, მშობლის მზრუნველობას მოკლებული, მიუსაფარი, სახელმწიფო
- ზრუნვიდან რეინტეგრირებული და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა
- და მათი ოჯახები, სადაც მოხდა მათი პრობლემების, გამომწვევი
- მიზეზების, საჭიროებების გამოვლენა. გამოვლენილი გარემოებებიდან
- გამომდინარე 46 ზ/აღნიშნულ ოჯახს დაურიგდა სეზონური ტანსაცმელი.
- - ბავშვთა განყოფილება მუნიციპალიტეტის მაშტაბით აგრძელებს
- კვლევა/ მონიტორინგს ოჯახების გაძლიერებისთვის, რის შემდგომაც
- შესაძლებელი გახდება მოსახლეობის საჭიროებებზე უკეთ მორგებული
- მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავება.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

სამსახურის უფროსი: /თამარი ბაღაშვილი/